საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000031472345420

№ 02-152-R

09 / სექტემბერი / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ხორბალაძეს დაევალოს 2020 წლის 08 სექტემბერს რექტორის №02-151-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებაზე კონტროლი.

2.ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ხორბალაძეს დაევალოს ბრძანებით განსაზღვროს 2020 წლის 08 სექტემბერს რექტორის N02-151-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა)სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორ გამოყენებაზე დასაქმებულების/ ვიზიტორების/მოსწავლეების/მშობლების და სხვა პირების კონტროლს;
ბ)თერმოსკრინინგის განხორციელებასა და მისი შედეგების აღრიცხვას;
გ)ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირებას;
დ)სადეზინფექციო სამუშაოების წარმოებას და მასზე ზედამხედველობის განხორციელებას;
ე) რეაგირების გეგმის განხორციელებაზე ზედამხედველობას
ვ)ხელოვნური ვენტილაციის საინჟინრო კონტროლზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა
ზ)მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე, სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სასწავლო დაწესებულებაში დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფაზე ზედამხედველის პირის განსაზღვრა.

3.ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.
4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე